№ 3
ხუთშაბათი, 4 იანვარი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 3
ხუთშაბათი, 4 იანვარი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

მეუღლე განსვენებულის
სპირიდონ გიორგის ძის აბესალოშვილისა
აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება დღეს, 4 იანვარს, დილის 9 საათზედ, პეტრე-პავლეს ეკკლესიაში. (1—4—1)

ქართული თეატრი
ხუთშაბათს, 4 იანვარს, 1901 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ,
ბენეფისი
ტასო აბაშიძისა
წარმოდგენილი იქნება
I
ფული და ხარისხი
ორიგინალური კომედია 3 მოქ. თხზ. აზიანისა.
II
მშვენიერი ელენეს მაძიებელნი
ფარსი 2 მოქმედ. გადმოკ. ა. ცაგარლის-მიერ.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
დასასრულ
დიდი დივერტისმენტი
სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ, რუსული ოპერეტის არტისტები:
ქალბ. ლელინა, ბ. ბ. თუმანსკი და კოშევსკი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი მ. გუნია

შაბათს, 6 იანვარს 1901 წ.
ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში
გამართულ იქნება
ბალი
ტფილისის სათავად-აზნაურთ სკოლის
თანხის გასაძლიერებლად.
ბილეთი ღირს 2 მ. 10 კ.
ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენთათვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.
ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (უ.)

შავის-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო
ამით აცხადებს, რომ ამა 1901 წლის რვა იანვარს, შუადღის 12 საათზედ, მოხდება
საჯარო ვაჭრობა,
რომელზედაც გაიცემა იჯარით სამუშაოები ჭიათურის სამრეწველო გზების შესაკეთებლად და გასაფართოებლად. სულ სამუშაო დაახლოვებით 14,000 მანეთისაა.
ვისაც ვაჭრობა ჰსურს, უნდა წარუდგინოს საბჭოს ვაჭრობის დაწყებამდე 700 მანეთი ნაღდ ფულად ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით. ეს გირაო უნდა შევსებულ იქმნას საიჯარო თანხის 10%-მდე, რისთვისაც იმ ფულიდგან, რომელიც მოიჯარადრეს უნდა მიეცეს მუშაობის შესრულებისათვის, 10% იქმნება დაჭრილი. ვაჭრობა საბჭომ უნდა დაამტკიცოს. (3—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.
ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.
საღამოობით:
ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.
ზ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი 7½—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა
დილით:
ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.
მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.
ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.
ექიმი ქალი მ. ხ. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.
ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.
საღამოთი:
ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.
სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

ახალი ამბავი

*** დღეს, 4 იანვარს, ქართულ თეატრში ახალგაზდა მსახიობ ქალის ტასო აბაშიძის ბენეფისია დანიშნუ-

---

ფელეტონი

ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი.

(წერილი ნაცნობისა)

(დასასრული *)

საშუალო სკოლებში ქართველები მოწაფეთა რაოდენობით ბევრით დაუვარდებიან არათუ რუსებს, არამედ სომხებსაც. ამის მიზეზია ის, რომ ქართველები სოფლის მკვიდრი, მიწის მოქმედი ანუ მიწის პატრონი ხალხია, მსხვილი მოქალაქე და ვაჭარი მათ შორის ჯერ ცოტაა, ეკონომიურად ღარიბნი არიან და უძნელდებათ ბავშვების რუსულად მომზადება საშუალო სკოლებში შესაყვანად და მათი შენახვა. რუსები, როგორც მოხელეები და სომხები, როგორც ვაჭრები, შეუდარებლად უკეთესს გარემოებაში არიან. მათმა ბავშვებმა ჯერ კიდევ შინ იციან რუსული ენა, რომლითაც სკოლებში ასწავლიან, მათ არ აკლიათ არც ტანისამოსი, არც საზრდო, არც ბინა, არც სახელმძღვანელოები. ქართველ ბავშვებს-კი უმეტეს ნაწილად ყოველი უსაჭიროესი რამეც-კი აკლიათ. ამ ყოფაში ქართველი მოწაფეები უკან უნდა ჩამორჩენოდნენ სომხებს სწავლით საშუალო სკოლებში და მესამე ადგილი სჭეროდათ. მაგრამ ნამდვილად მათ ხშირად მეორე ადგილი უჭერიათ და სომხებს მესამე ადგილისაკენ ახევინებენ. აი ამისი უცილობელი საბუთი. 1897 წელს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშისამებრ, სომხებმა სწავლაში გაუსწრეს ქართველებსა ტფილისის პირველსა და განჯის გიმნაზიაში (79%, 78%); მაგრამ დანარჩენ ექვს გიმნაზიაში ქართველებს უკან ჩამორჩნენ. ესრეთ, ტფილისის მეორე გიმნაზიაში ქართველთა წარმატებას ჰხატავს 80%, სომხებისას-კი 76%; ერევნის გიმნაზიაში ქართველთაგან წარმატება ჰქონდათ 91%, სომეხთაგანს-კი მხოლოდ 73%. 1898 წ. ანგარიშის მიხედვით, ქართველებმა ხელ-ახლად გაუსწრეს სომხებს ექვს გიმნაზიაში. თვითონ რუსებიც-კი ჩამორჩნენ ქართველებს ქუთაისისა და ბაქოს გიმნაზიაში. საზოგადოდ გიმნაზიებში ამ წელს ქართველთა წარმატებას ჰხატავს 80,1%, სომხებისას-კი 79,3%. ამასვე ვხედავთ 1899 წელსაც. გიმნაზიებში რუსთა წარმატებას, იმავე ანგარიშის მიხედვით, ჰხატავს 79%, ქართველებისას 77,7%. სომხებისას კი 71,4%.

პროგიმნაზიებში ქართველები ერთობ ცოტანი არიან, მაგრამ არა-თუ სომხებს, რუსებსაც-კი გაუსწრეს სწავლაში. მათ სამისავე წლის წარმატებას ჰხატავს 100%, რუსებისას 75%—71,8%, 72,2% და სომხებისას 72%—57,1%—73,3%.

საქალო გიმნაზიებში ქართველ ქალებს იმავე ანგარიშის მიხედვით 1897 წ. ეჭირათ მეორე ადგილი. რუსთაგან წარმატება ჰქონდა 85%, ქართველთაგან 82% და სომეხთაგან 80%. 1898 წ. რუსთაგან გიმნაზიელი ქალები წარმატებით სწავლობდნენ 87%, ქართველთაგან 82,2%, სომეხთაგან-კი 81,7%. უფრო სანუგეშოა ქართველ ქალთათვის 1899 წლის ციფირები. ქართველ ქალთაგან წარმატება ჰქონდა—87, 7%, რუსთაგან 87, 4%, სომეხთაგან-კი 80%.

საქალო პროგიმნაზიებში 1897 და 1898 წლებში ქართველმა ქალებმა გაუსწრეს რუსის ქალებსაც და სომხის ქალებსაც. პირველთაგან წარმატება ერგო 87,7%, 94,8%, მეორეთაგან 86,6% და 87,9%, ხოლო მესამეთაგან 75,5% და 75,4%. 1899 წ. პირველი ადგილი წარმატებისამებრ დაუჭერიათ რუსს ქალებს (85%), მეორე—ქართველებს (80%), ხოლო მესამე სომხებსა (76,7%).

კიდევ უფრო ცხადად ჰხატავს ერად-ერად შედარებით წარმატებას მოწიფულობის ეკზამენების საბუთები. საზოგადოდ გიმნაზიელ რუს ვაჟთაგან მოწიფულობის ატესტატი მიიღო 1897 წ. 5,1%, ქართველთაგან აგრეთვე 5,1%, ხოლო სომეხთაგან 3,1%, 1898 წ. (მოუსავლიანი იყო) შედარებითი პროცენტი კურს-დასრულებულ ქართველთა ცოტა მცირე იყო, ვიდრე სომხებისა, მაგრამ 1899 წ. ქართველებმა გაუსწრეს არა თუ სომხებს, არამედ რუსებსაც. ატესტატ-მიღებულთა პროცენტს ქართველთა შორის ჰხატავს 5,7%, რუსთა შორის 5,1%, სომეხთა შორის-კი 3,5%.

თუ უფრო ცუდს გარემოებაში მყოფნი ქართველები რუსებსა და განსაკუთრებით სომხებზედ უარესად არა სწავლობენ, სამართლიანად უნდა დავასკვნათ, რომ ისინი ბუნებრივ ნიჭით არავითარ შემთხვევაში არ დაუვარდებიან არც პირველებსა და არც მეორებსა, თუმც ორნივე ერნი სამართლიანად ითვლებიან ქვეყნის ნიჭიერ ხალხთა შორის.

ამასვე დაგვასკვნევინებს, თუ გავეცნობით საშუალო და უმაღლეს სკოლებში მოსამსახურე მასწავლებელ ქართველთა მოღვაწეობას. ისინი საქმის მოყვარულნი, კეთილ-სინიდისიერნი, ნიჭიერნი პედაგოგნი არიან და დიდ პატივცემულნი მთავრობისა, მასწავლებელთა და მოწაფეთაგან. ქართველთა მცირე რიცხოვანმა ერმა რუსეთის უმაღლესს სკოლებს მოკლე ხანში არა ერთი ნიჭიერი პროფესორი და მეცნიერი შესძინა, რომელნიც გამოსულნი არიან სხვა-და-სხვა წოდებიდგან. შესანიშნავი ფიზიოლოგი, უნიჭიერესი პროფესორი, პოპულარიზატორი და ერთი

---

*) იხ. „ივერია“ № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. წარმოადგენენ ორ პიესას: „ფულსა და ხარისხს", ორიგინალურ კომედიას 3 მოქმედ. აზიანისა და ა. ცაგარლის მხიარულ ორ მოქმედებიან ფარსს „ელენეს მაძიებელნი". დასასრულ დივერტისმენტი იქნება გამართული, რომელშიაც, სხვათა შორის, რუსულ ოპერეტის არტისტები მიიღებენ მონაწილეობას.

⁂ როგორც ვუწყით, ტფილისის მიხეილის საავადმყოფო კავკასიის ყველა გუბერნიისა და ოლქის ხარჯით ინახება. ამისდა მიუხედავად ამ საავადმყოფოთი, განსაკუთრებით სულით-ავადმყოფთა განყოფილებით, გუბერნიები და ოლქები ერთნაირად ვერ სარგებლობენ. ეხლა კავკასიის სამკურნალო გამგეობას ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ სულით-ავადმყოფთა განყოფილება თანაბრად იყოს განაწილებული გუბერნიებსა და ოლქებს შორის და იქ ყველას ერთ-ნაირად შეეძლოს ავადმყოფთა დაწვენა.

⁂ როგორც მკითხველებმა უთუოდ უწყიან, ამიერ-კავკასიაში სამრეწველო და სავაჭრო მოწმობებს განსაკუთრებული გარდასახადი აქვთ გაწერილი. დღემდე ეს გარდასახადი ხაზინის სასარგებლოდ იკრიბებოდა, დღეის შემდეგ-კი გარდასახადი საერობო თანხას მიემატება.

⁂ „კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების" გამგეთ განუზრახავთ 12 იანვარს საზოგადოების ფონდის სასარგებლოდ ბალი გამართონ. ბალის გამგებლობა ტფილისის გუბერნატორის სვეჩინის მეუღლეს უკისრნია.

⁂ გუშინ-წინ, 2 იანვარს, ქალაქის გამგეობისა, ქალაქის წარმომადგენელთა, ვაჭართა და ქალაქის მკვიდრთა თანადასწრებით, საქალაქო მე-2 სესხის ობლიგაციების ტირაჟი მოხდა 800 ათას მანეთისა. ტირაჟში გამოვიდა 19 ობლიგაცია ათას-მანეთიანი და 4 ობლიგაცია ას-ას მანეთიანი, სულ 19,000 მან.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს ქუთაისიდგან ატყობინებენ, ადგილობრივ ღარიბ ბავშვთა დამხმარებელ საზოგადოებას აზრადა აქვს თურმე საღორიაში პირველ დაწყებითი სკოლა დააარსოს. უკვე შემუშავებულის პროექტით, სკოლის შენობის აგება და მოწყობა დაჯდება 7,000 მანეთი. სკოლასთან გამართული იქმნება სადგომი უპატრონო ბავშვთა თავ-შესაფარად.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს დაუვალებია პოლიციის ბოქაულებისათვის, ახლავე აცნობეთ ქალაქის მცხოვრებთ, რომ ნათლისღება დღეს წყალ-კურთხევის დროს თოფისა, ან სხვა იარაღის დაცლა სასტიკად აღკრძალულია. დამნაშავენი პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი.

⁂ გაზ. „კავკ."-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ უმაღლესად ებოძათ: ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა კავკასიის 1-ლ სამხედრო კორპუსის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს თავ. ამირაჯიბს; სტანისლავის მე-2 ხარისხისა: — ტფილისის სამოსამართლო პალატის თარჯიმანს არდაზიანს; ანნა მე-2 ხარისხისა: განჯის ოლქის სასამართლოს წევრს აბულაძეს, ერევნის ოლქის სასამართლოს წევრს მიქელაძეს, ყარსის გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელეს ნინიაშვილს; დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა: ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგს უთნელაშვილს; გენერალ-ლეიტენანტობა: კავკასიის სამხედრო კორპუსის არტილერიის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს გენერალ-მაიორს ხიმშიაშვილს და კავკასიის ყაზახთა მე-2 დივიზიის უფროსს გენერალ მაიორს ჯამბაკურიან-ორბელიანს.

⁂ როგორც საპყრობილეთა ზედამხედველების მოხსენებიდგან სჩანს, ახალ წლისათვის ტფილისის საპატიმროებში სულ 874 პატიმარი ყოფილა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს დაუვალებია პოლიციის ბოქაულებისათვის, რომ ყურადღება მიაქციონ იმ მათხოვრებს, რომლებიც ქუჩებში გამვლელ-გამომვლელს მოწყალებას სთხოვენ და მოსვენებას არ აძლევენ.

⁂ ახალ-სენაკი. ჩვენის დაბის ვაჭრებს ერთად ერთი ჭა აქვთ შუა დაბაში, რომლის წყლისაგანაც ამზადებენ საჭმელსა და სასმელადაც ესა აქვთ, რადგანაც ახლო არც სხვა ჭა აქვთ და არც წყარო. ეს ჭა აქამდის ქვით იყო ამოკირული, მაგრამ ეს რამდენიმე თვეა ჭის თავი ისე დაინგრა, რომ მიწას გაუსწორდა. მას აქეთ ვერ იქმნა და ვერა, ამ ჭის თავის გადაკირვას არა ეშველა-რა. ჭის გარშემო მუხლამდის ტალახი დგას, რომელიც წვიმის დროს შიგ ჭაში ჩადის და წყალი ფუჭდება. საუბედუროდ, არც აქაურს ადმინისტრაციასა და არც დაბის დეპუტატებს ფიქრად არ მოსვლიათ, რომ ჭის თავი შეაკეთებინონ და ხალხს სუფთა წყალი ასვან. ნუ-თუ ათი მანეთის გამოღება უჭირს ამ ჭის შესაკეთებლად იმ დაბას, რომელიც დღე-დღეზედ ქალაქის სახელ-წოდებას მოელის? იმედია, ახლა მაინც მიაქცევს ვინმე ყურადღებას.

⁂ 1 იანვარს, ღამის 2 საათზე, ტფილისში დიდი ცეცხლი გაჩნდა: ცეცხლი წაეკიდა ოვანესიანცის და არხიეპისკოპოვის სახლებს ქალაქის მე-5 ნაწილში, არღუთინსკისა და ებრაელების ვიწრო ქუჩაზე. ოვანესიანცის სახლის მეზონინს ცეცხლი უეცრად წაეკიდა, ასე რომ მთელი ოჯახი ბანიდან ავიდა და ამნაირად გადარჩა. ამ სახლებში სულ 40 მეტი ოჯახი სცხოვრობდა, რომელთაც ყოველისფერი დაეწვათ. ცეცხლის გაქრობას დაესწრნენ ტფილისის გუბერნატორი და პოლიცმეისტერი; გამოწვეულ იქმნენ ჯარები, რომლებმაც ცეცხლის მქრობელ რაზმთან ერთად გადაარჩინეს მახლობელი შენობები. ოვანესიანცის სახლი დაზღვეული ყოფილა „სალამანდრას" საზოგადოებაში 14 ათას მანეთში, არხიეპისკოპოვის სახლი კი საქალაქო საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებაში 6000 მანეთში. ცეცხლის ქრობის დროს მძიმედ დაშავდნენ 1 ჯარის კაცი და ცეცხლის მქრობელ რაზმის მსახური ტკაჩენკო. ოვანესიანცის და არხიეპისკოპოვის სახლები სრულიად დაიწვა. გუშინ წინ, ნაშუადღევის 3 საათზედ, ის ადგილი, სადაც ცეცხლი გაჩნდა, დაათვალიერა კავკასიის მთავარ-მართებელმა, რომელმაც ცეცხლის მქრობელ რაზმის კაცებს ფული აჩუქა, თითოს თითო მანეთი.

⁂ როგორც „ახ. მიმ."-ს ატყობინებენ, ამას წინად 6 შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი თავს დასცემია სენაკის მაზრის სოფ. ონოჩიას მცხოვრების დარჟანიას სახლს. ბოროტ-განმზრახველი სახლის პატრონისათვის 520 მანეთი წაურთმევიათ. პოლიციას უკვე აღმოუჩენია ბოროტ-განმზრახველნი.

—

შეცდომის გასწორება: ჩვენის გაზეთის საახალწლო ნომერში (№ 1) ერთი სამწუხარო შეცთომა შეპარულა. ერთი სტრიქონი გამორჩენილა იმ ადგილას, სადაც ნათქვამია: „ტალღა გადვუშვათ, ვამჩქეფროთ უხვად". (პირველი გვ. მე-5 სვეტი, მე-12 სტრიქონი ქვევ.). მოგვყავს ეს ტაეპი ლექსისა იმ სახით, როგორც უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი:

ჩვენ ვალად გვადეს,
რომ ამ მდოვრ მორევს
კიდე გადუპრათ, წყაროს ვამსგავსოთ,
ტალღა გადუშვათ,
ვამჩქეფროთ უხვათ,
გავაკასკასოთ და ვაალმასოთ. (ეს სტრიქონი გამოტოვებულია.).

◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ პროფ. ხახანაშვილმა შეადგინა ფრანგულს ენაზედ გამოფენისათვის „საქართველოს ისტორია", ხოლო რაფ. ისარლიშვილმა დაბეჭდა იგი. ამ თხზულების შესახებ, როგორც „ცნობის ფურცელი" გადმოგვცემს, ფრანგულ გაზეთ „ჟურნალ"-ში საყურადღებო მეთაური წერილია დაბეჭდილი ცნობილ მწერლის პოლ ადამისა.

„წიგნის საშუალებით, სწერს ადამი, კაცი ადვილად ითვალისწინებს ამ პატარა ხალხს ქართველთა ტომისას, რომელიც იძულებულ იქმნა სომხებისა და ასურელთა მოწოლის მიზეზით, მტკვრის ველისა და კავკასიონის კალთისაკენ დაეწია. ამ ერს რიგ-რიგად ჰყავდა ბატონებად ძლიერნი და ქვეყნის დამპყრობნი ერნი, გარნა მეშვიდე საუკუნიდგან ვიდრე მეცხრამეტე საუკუნემდე მოაღწია და საბოლოოდ მაინც არ განქრა, არ დაუკარგავს არც თავისი ენა, არც სარწმუნოება და არც თავისი ზნე-ჩვეულება. არაბთა შემოსევის შემდეგ ქართველებმა პირდაპირ საბერძნეთს მიჰმართეს და მფარველობა სთხოვეს, ხოლო თამარ-მეფის, კავკასიის სემირამიდის, დროს საქართველო ბრწყინვალე და დამოუკიდებელი სამეფო შეიქმნა, მთლად საბერძნეთის განათლებით მოსილი და მტკიცე საძირკველზე დაყენებული იმ მართნცხებულისაგან, რომელიც ათონზე განათლება მიღებულ ბერების ხელმძღვანელობით იყო აღზრდილი. სახე ამ საკვირველის ქალისა, რომელიც მე-XII საუკუნის მიწურულში და XIII საუკუნის დასაწყისში სცხოვრებდა, დახატულია მსგავსად ღვთისმშობლის ხატისა. თავზე ადგას ძვირფას თვალ მარგალიტით შემკული გვირგვინი და გულზე ჰკიდია ოქრომკედით ნაკერი ორარი. თამარმა დაარსა ლეგენდარული იმპერია ტრაპიზონისა, რომელიც მის სიცოცხლის შემდეგ კომნენებმა დაიპყრეს. თამარი გარდაიცვალა თუ არა, ისევ გამოჩნდნენ მონღოლნი, რომელთაც საქართველოს მეფეების ტახტი წაართვეს და თავისს სურვილისამებრ შეარჩინეს ზოგი რამ უფლებანი. მონღოლნი მანამდე ფარფაშობდნენ საქართველოში, სანამ თურქები, სტამბოლში გაბატონებულნი, თავის მხრივ ტფილისშიაც არ გაბატონდნენ. მას შემდეგ საქართველოს მეფეს სამეფო გვირგვინს მაშინ-ღა აღირსებდნენ, თუ სჯულს გამოიცვლიდა და მაჰმადის სარწმუნოების აღმსარებელი გახდებოდა. მართალია, ქართველნი მეფენი სჯულს იცვლიდნენ, მაგრამ მიუხედავად ამ გარემოებისა, მაინც მფარველობდნენ თვისთა ქვეშევრდომთა ქრისტიანეთა სარწმუნოებას და ამრავლებდნენ მონასტერ-ეკლესიათა რიცხვს. მე-XVII საუკუნეში ხალხი აღსდგა, და თურქები საქართველოდან განდევნილ იქმნენ. მაგრამ ამ დროს სპარსი მოვიდა, ქართველთა სძლია და მათი ქვეყანა დაიპყრო. ერეკლე II, რომელიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სცხოვრობდა, როგორც სურათი გვიჩვენებს, შავწვერაა, სურათი ცხვირი და ირანული განიერი თვალები აქვს; თავზე ასტრახანული ქუდი ჰხურავს და სურათზე ისპაანის მპყრობელსა ჰგავს. ეს მეფე ქართველთა დაუმეგობრდა რუსებს და თურქეთს ომი გამოუცხადა. ამ პოლიტიკის გავლენით საბოლოოდ მოამზადა ის დრო, როცა თავისი სახელმწიფო მოსკოვის ბედ-იღბალს შეუერთა. ეს შეერთება გამოცხადებულ იქმნა 1801 წლის 12 ენკენისთვეს ალექსანდრე I-ლის მიერ".

◆

საუკეთესო ლექტორთაგანი რუსეთში — თავადი თარხნიშვილი წმინდა ქართველია, შუაგულ საქართველოში დაბადებული, იქვე აღზრდილი და მხოლოდ 17 წლისა წასული რუსეთს სწავლა-განათლების მისაღებად. ცნობილი ქიმიკოსი და პროფესორი ოდესის უნივერსიტეტისა პეტრიაშვილი, რომელმაც რამდენიმე მნიშვნელობიანი რამ აღმოაჩინა ქიმიაში, აგრეთვე ქართველია, გლეხთაგანის მღვდლის შვილი. იმავე უნივერსიტეტში პროფესორად არის მეორე ქართველი, მოქალაქეთაგანი პეტრე მელიქიშვილი, რომელმაც ბოლოს ხანს თავისი ფრიად საფუძვლიანი მეცნიერული თხზულებებით სასიქადულო სახელი დაიმსახურა. ორდინარი პროფესორი აღმოსავლეთის ფაკულტეტისა პეტერბურგში ცაგარელი, ცნობილი თავისის რამდენიმე საფუძვლიანის თხზულებით საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ, ქართველი აზნაურთაგანის მღვდლის შვილია აგრეთვე. აგრეთვე საქართველოს შვილად უნდა იქმნას აღიარებული იმავე ფაკულტეტის პროფესორი სომხურის სიტყვიერებისა მარრი, ახალგაზდა მეცნიერი, ფრიად ნიჭიერი, რომელსაც ზოგიერთი რუსის სწავლულები აღმომავალ ვარსკვლავს ეძახიან, იგი საქართველოშია დაბადებული ქართველის გლეხის ქალისაგან შავის ზღვის პირად, აღზრდილია საქართველოშივე, ლაპარაკობდა ყმაწვილობაში მხოლოდ ქართულსა და გიმნაზიაში ყოფნის დროს ხელთ-ნაწერ ჟურნალსაც ჰრედაქტორობდა. მოსკოვის ლაზარევის აღმოსავლეთის ენების ინსტიტუტის ახალგაზდა პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი ქართველი გლეხის მღვდლის შვილია. სულ რამდენიმე წელიწადია, რაც მოსკოვის უნივერსიტეტი გაათავა, მაგრამ მოკლე ხანში გამოაქვეყნა ბევრი რამ საფუძვლიანი და მრავალ-ფეროვანი ნამუშევარი, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს მის ორ დიდ ტომიან ქართულის ლიტერატურის ისტორიას. მის გონებრივ მოღვაწეობას დაუღალაობა და ფრიადი ნაყოფიერება ეტყობა.

ქართველთა შესანიშნავ პედაგოგიურ ნიჭს აი კიდევ რა მოწმობს; სომხის უკეთეს პედაგოგად ითვლებოდა და აქამდე ითვლება პეტრე შანშიევი, ათიოდე წლის წინად გადაცვალებული. ჩინებულის პედაგოგიურის მოღვაწეობისთვის ღრმა მადლობის ნიშნად სომხებმა გამოღებულის ფულით დაუდგეს მას დიდმშვენიერი ძეგლი ქალაქის ვანქის ტაძრის გალავანში, და აი ეს სომეხთა სასიქადულო პედაგოგი ჩამომავლობით ქართველი იყო. მისი პაპა იყო გვარად გოგებაშვილი. მდიდარის სომხის შანშიანცის ქალი შეუყვარდა, მაგრამ ქალმა ცოლობა აღუთქვა იმ პირობით, თუ მის სარწმუნოებასა და გვარს მიიღებდა. სიყვარული იმდენად ძლიერი გამოდგა, რომ შვილი გაიანცდა; მაგრამ მაშინვე ცოლითურთ სპარსეთს გაიქცა, რადგანაც ეშინოდა მაშინდელის საქართველოს მეფის ერეკლესი. შემდეგ მეფემ დანაშაული აპატია, შანშიანცები დაბრუნდნენ საქართველოში და დასაბამი დაუდვეს შანშიაშვილების გვარსა, მერმე შანშიევად გადასხვაფერებულსა.

კავკასიის სასწავლო ოლქის ყველა მზრუნველებს ქართველები უტყუარის პედაგოგიურის ნიჭის პატრონად მიაჩნდათ, მაგალითად, აწინდელის მზრუნველის წინამოადგილე იანვარი ნევეროვი, დიდად განათლებული პედაგოგი, ხშირად ამბობდა, ქართველები ბუნებრივი პედაგოგები არიანო. თავისის სიტყვების გულწრფელობა, სხვათ შორის, იმითი დაამტკიცა, რომ კავკასიაში პირველი გამართული სახალხო სკოლების დირექცია მიანდო ქართველის ბესარიონ ლოლობერიძის ხელმძღვანელობას, დანიშნა რა იგი დირექტორად.

კიდევ მეტს ვიტყვით. ქართველები მთელს სასწავლო ოლქში საუკეთესო მასწავლებლები არიან მათემატიკისაც-კი, რომელიც სხვა მეცნიერებაზედ უფრო ნაკლებ შეესაბამება მათს ტემპერამენტსა. მაგალითად, გასულ სასწავლო წელში, ოლქის ყველა გიმნაზიების უფროსის კლასის მოწაფეებმა მიიღეს 16 ხუთიანი, რომელთაგან ცხრა ხუთიანი წილად ხვდა ტფილისის მესამე გიმნაზიას, სადაც მათემატიკის მასწავლებლად კაი ხანია ქართველია.

ქართველთა ბუნებრივი პედაგოგიური ნიჭი მომდინარეობს ფრიად შესანიშნავი სათავედგან, ანუ, უკედ, საძირკვლიდან. ქართველთა სულიერი ორგანიზაცია ანუ აგებულობა იმგვარია, რომ იგინი მოკლებულნი არიან ვიწრო ეროვნულს ინსტიკტს, გვარ-ტომობის ცალ-მხროვანობასა, და აქვთ მიდრეკილება ფართო ადამიანობისადმი, რის გამო ხათრი-ჯამანი განწყობილება ერთს მათს ძირითადს თვისებას შეადგენს. ცნობილია, რომ პედაგოგიური ნიჭი ვერ დაისადგურებს ვერც კერძო კაცში და ვერც ერში, თვინიერ ადამიანურის გრძნობისა. თუ ბერძნები გაცილებით სჯობნიდნენ რომაელებსა მოზარდის თაობის აღზრდისა და სწავლების საქმეში, ეს იმიტომ, რომ მათზედ უფრო გაცილებით კაცთმოყვარენი იყვნენ. ძველის ქვეყნის უდიდესი პედაგოგი სოკრატი იმდროსვე უდიდესი ჰუმანისტი იყო. პედაგოგიის მამათ-მთავარი კომენსკი, პესტალოცი, დისტერვეგი, უშინსკი კაცთ მოყვარეობის, ალტრუიზმის მნათობნი იყვნენ. ეგოისტ კაცთა და ტომთა არ ძალ-უძთ პედაგოგიის სფერაში შემოქმედები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრის მატიანე

(სადღესასწაულო წარმოდგენა).

„დავა“, კომედ. 4 მოქმედ. გ. ერისთავისა და „სამზადისი“ სცენასურათი პ. უმიკაშვილისა.

არავისზედ ისე არ გამართლებულა რწმენა „დაკვებების“ შესახებ, როგორც ჩვენს მსახიობებზედ. ორი ერთი ერთმანეთზედ ხმა-შეწყობილი მწყობრი წარმოდგენა მართლა საკვირველი მოვლენაა ქართულს სცენაზედ და ვალდებულნი ვართ უეჭველად აღვნიშნოთ იგი.

„ადლუმს“ მოჰყვა ქართული თეატრის აწ სატრადიციოდ აღიარებული სადღესასწაულო წარმოდგენა, რომელიც დღეის იქით ყოველ წელიწადს გამეორდება ორს იანვარს, რადგანაც პირველი ქართული წარმოდგენა ნეტარ-ხსენებულის გიორგი ერისთავის თაოსნობით და წარჩინებულ ქართველთა დახმარებით სწორედ 1850 წ. ორს იანვარს გაიმართა.

თვით ზევით აღნიშნული პიესებიც ტრადიციულია; ყველას, რასაკვირველია, მოეხსენება შინაარსი ამა პიესებისა და ამიტომ გვრჩება მხოლოდ მოკლედ აღვნიშნოთ მსახიობთა უნარი როლების გარდმოცემისა.

რაღა თქმა უნდა, რომ ვ. აბაშიძე (სარქისა) თავი და თავი მიზეზი იყო „დავას“ ლაზათიანობისა და ხალხის მხიარულობისა. წარმოიდგინეთ, რომ ის ჩვეულება მარილის ბლომა მოყრისა, რომელიც ბ-ნ აბაშიძეს საზოგადოდ სჩვევია, 2 იანვარს, ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ მსახიობმა არ გამოიჩინა და ზომიერება ყოვლის მხრით დაიცვა. თითოეული სიტყვა ბ-ნ აბაშიძისა უზომო სიცილს იწვევდა საზოგადოებაში და არ იფიქროთ, რომ ეს სიტყვები თავ დაუჭერელ ოხუნჯობა-ცინიზმით ყოფილიყოს აღბეჭდილი... არამედ ყოველ გამოთქმაში ჩაღვენთებული იყო შესაფერისი კილო და ყოველი სიტყვა მხატვრულის მიმოხვრით იყო მოსილი.

ბ-ნს აბაშიძეს თითქმის მხარ-და-მხარ მისდევდნენ ბ ნნი შათირიშვილი (მიხეილი) და კ. მესხი (ლომან). ბ-ნ შათირიშვილის ძალა-დაუტანებელი, ბუნებრივი მხიარულება თვისგანხორციელებული ცხოვრება იყო და არა მსახიობისაგან წარმოდგენილ-მოჩვენებული როლის გადმოცემა. კოტე მესხმა ხელოვნურად დაგვისურათა, მოძრაობით თუ ლაპარაკის კილოთი, იმერეთის ძველებური თავადიშვილი და მისი განცვიფრება-აღელვება, ცხოვრების ახალი პირობათა მიერ გამოწვეული. მარტო მესხის მიერ თავის-დაკვრა, სტრიაპჩისთან რომ შედის, ან სალამის მირთმევა ამირინდოს სახლში შესვლისას ყოვლად სრული სურათი იყო ჩვენის ძველების ზნე-ჩვეულებისა.

ვინ არ იცის, რომ ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა ყოვლად ნიჭიერი და გამოცდილი მსახიობია და ამისი უეჭველი მაგალითი გუშინწინაც ვნახეთ, როცა იგი ათანას როლს ასრულებდა.

ქ-ნი ტასო აბაშიძისა, ვ. გამყრელიძე და გედევანოვი ყოვლის მხრივ ხელს უწყობდნენ ზევით აღნიშნულ მსახიობებს.

უფერულნი იყვნენ ბ-ნნი სვიმონიძე (ბეგლარი), იმედაშვილი (ონოფრე), ადამიძე (ია ია) და ავალიანი (დიამბეგი).

რაც შეეხება ბ. სვიმონიძისა და ურუშაძის რუსულ ლაპარაკს, უნდა ვთქვათ, რომ.... მაგრამ რა ვთქვათ ამის მეტი, რომ თვით სარქის ბუდანიჩი რუსულად იმაზედ ლაზათიანად ლაპარაკობდა? სახეში-კი უნდა ვიქონიოთ, რომ ბეგლარი რუსეთში გაზრდილია, უნივერსიტეტში ნასწავლი და ურუშაძე-კი რუსის „სტოროჟი“-ს როლს ასრულებდა.

„დავა“ ს მიერ გამოწვეული სიამოვნება გააუგემურა „სამზადისმა“, რომელშიაც მხოლოდ ერთად-ერთმა კანდელაკმა იჩინა თავი პლატონ იოსელიანის როლის აღსრულებით. მოუხეშავი მიხვრა-მოხვრა, პტყელ-პტყელი ლაპარაკი, აუმღელვარებელი ბუნება ჩვენის ფილოსოფოსად ცნობილის სწავლულისა, რომელიც ყველა საგანს ვირთან შედარებით ჰზომავს, — მსახიობმა ხელოვნურად გადმოგვცა. დანარჩენი მსახიობები, როლის უცოდინარობის გამო — ყველანი უფერულნი იყვნენ და „სამზადისში“ ის ცხოველ-მყოფელობა და მოძრაობა ვერ აღნიშნეს, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ისეთ დიდ საქმეს, როგორიც თეატრის დაარსებაა.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ბ ნი ადამიძე ჩინებული მესტვირე იყო, ბოლოში რომ ბურების შესახებ რაღაცა უგემური ლექსი არ ჩაეჩხირა.

დასასრულ უნდა ვთქვათ, რომ ტანსაცმელები პირველშიაც და მეორე პიესაშიც ზოგიერთ მსახიობებს ეპოქის შეუფერებელი ეცვათ. ნუ თუ რეჟისორი მოვალედ არა სთვლის თავისს თავს მაშინ მაინც მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას, როცა „დავა“-სა და „სამზადისსავით“ ტრადიციულ პიესებს თამაშობენ?!

წარმოდგენას საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

ინ—ზენ

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

„Taglihe Rundschau“-ს ლონდონელი კორრესპონდენტი იუწყება, რომ, როგორც შევიტყე, ინგლისს მეტი ჯარების გაგზავნა სამხრეთ აფრიკაში არ შეუძლიანო. ინგლისის მთავრობას ახლა ახალშენების იმედი-ღა აქვს თურმე; მაგრამ თუ როგორმე ახალშენებმა ინგლისელებს იმედი არ გაუმართლეს, მაშინ მეტროპოლია უძლურია იღონოს რამე, რადგანაც, რაც-კი შეეძლო, უკვე დიდი ხანია ყოველივე იღონაო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ინგლისელნი მაინც გულს არ იტეხდენ და დაუჯერებელს ამბებს მარჯვნივ და მარცხნივ ავრცელებენ, გულს იიუგეშებენ. „Daily Mail“-ის სიტყვით, ბურების გენერალს ლუი ბოტას ინგლისელებთან მოლაპარაკება დაუწყვია იმ აზრით, რომ დაჰმორჩილდეს და კიტჩენერთან კაცებიც გაუგზავნია!.. რა სასაცილოობაა, მართალი რომ იყოს! იმ დროს, როდესაც ინგლისელები გაფაციცებით მიმაშველს ჯარს ინგლისიდგანა თხოულობენ, კაპის ახალშენი ბურების ფეხ ქვეშ გათელილია და აფრიკანდერები ნელ-ნელა ბურების რაზმს უერთდებიან და ამ რიგად ბურები ძალას იორკეცებენ, მტერს ყველგან ამარცხებენ და ისეთი შიში აჭამეს, რომ ბანკის განყოფილებანი ბევრგან გააუქმებინეს და კაპშტადტში დღე-დღეზედ ბურების თავდასხმას ელიან, ლუი ბოტა კიტჩენერს კაცებს უგზავნის, რომ მორჩილება გამიცხადოს, იარაღი გადასცესო. ოცნებაც, თუ იტყვით, სწორედ ასეთი უნდა. როგორც სჩანს, ინგლისს უცხო მანუგეშებელი სრულიად აღარ დასჭირდება, რადგანაც შინაც ბლომად ჰყოლია ასეთი მანუგეშებელი. კაპშტადტის გარემოს მთები და გზები სულ დარაჯებით არის მოფენილი, რომ მტრის მოახლოვება დროზედ შენიშნონ და თავს როგორმე უშველონ.

ინგლისის ოფიციალურ ცნობებით, 1901 წ. 1-ლ იანვრამდე სამხრეთ აფრიკაში დაუკარგავს ინგლისს 51,687 ოფიცერი და ჯარის-კაცი. ამათგან დახოცილია ზოგი სამხრეთ აფრიკაშივე და ზოგიც ინგლისში დაბრუნების შემდეგ სულ: 608 ოფიცერი და 11,797 ჯარის-კაცი. მაგრამ ეს ცნობები სარწმუნოდ არ ჩაითვლება, რადგანაც ამ ორის თვის წინად დახოცილთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა რიცხვი იმავე ოფიციალურის ცნობებით 64,000 აღემატებოდა. სჩანს, ინგლისელებს უადგილოდ ნუგეშის ცემასთან ერთად ისიც კარგად სცოდნიათ, თუ ერთხელ ნათქვამი უსირცხვილოდ როგორ გადათქვან.

— „Frankf. Gen.-Anzeiger“-ს ფრიად საყურადღებო ცნობები მოჰყავს იმის შესახებ, თუ კრიუგერს როგორ უსამართლოდა სწამებდნენ თურმე, რომ დიდს ქრთამებს იღებდა და მდიდრდებოდაო. აი ამ საგნის შესახებ ბურებთან ერთად მებრძოლი ერთი გერმანელი რას იუწყება:

„ყველამ იცის, რომ ინგილისში ხმაა გავრცელებული, ვითომ კრიუგერს თავისი სიმდიდრე და ქონება ქრთამებით შეეძინოს. ახლავ გიამბობთ საქმე როგორ არის. ყოველთვის ამ ბოლოს წლებში, როდესაც კი ტრანსვაალის მთავრობა კონცესიას ვისმე აძლევდა, კრიუგერი პირობას უდებდა, რომ კარგა ბლომა ფული მისთვისაც მიეცათ ჯილდოდ, მაგრამ ამ ფულს იგი შეიარაღებას ახმარებდა. ფორტეპიანოს ყუთებით-კი არა, უზარ-მაზარ ორთქლის ქვაბებით გადმოჰქონდათ ტრანსვაალში ზარბაზნები, მაუზერის თოფები, ყუმბარები, ტყვია-წამალი და სხ. ინგლისელებს ეჭვიც არა ჰქონდათ აღებული, თუ კრიუგერი ასე უჩუმრად ამაგრებდა თავისს ქვეყანას. ინგლისი რად გინდათ, როცა თითონ ბურებმაც-კი არა იცოდნენ რა. როდესაც ინგლისმა ტრანსვაალს ომი გამოუცხადა, ტრანსვაალი უკვე შეიარაღებული იყო და სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვაში კი კაპიკიც არ იყო შეიარაღებაზედ დახარჯული. ომის გამოცხადების დღეს კრიუგერმა სახელმწიფოს საომარს კომიტეტს თითოეულის გროშის შესახებ დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინა და ამით სამუდამოდ პირი დაუხშო იმათ, ვინც კრიუგერის შესახებ ასეთს ცილისწამებას ავრცელებდა. ჩემის შეხედულებით, კრიუგერი დიდებული კაცი და უმაგალითო გმირია, რომელსაც ისტორიაში ტოლი ბევრი არა ჰყავსო“.

მცირე შენიშვნა

ყოველი პირუთვნელი ადამიანი ზნეობრივად მოვალეა, რომ ავს ავი უწოდოს და კარგს კარგი, უკეთუ საგანი ღირსია ყურადღებისა და ხალხის ისედაც შევიწროებულს ცხოვრებას ეხება. სწორედ ეს მქონდა აზრად, როდესაც „ივერიის“ მე-239 №-ში ჩემი „მცირე შენიშვნა“ მოვათავსე ახალ-სენაკიდგან, ძმ. თავართქილაძეებისადმი მიმართული; შენიშვნაში ვამბობდი: „პირველ ხანებში იგინი პირნათლადა და სინიდისიერად ჰყიდდნენ ყოველგვარს სასწავლო ნივთებსა, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში-კი ყოველივე გაგვიძვირეს-მეთქი“. დაიბეჭდა ჩვენი „მცირე შენიშვნა“ თუ არა, ძმ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიაში ყველაფერი გააძვირეს; მასთან სასტამბო საქმეებიც. ყველასათვის ცხადია, რომ ძმ. თა—ძის წიგნის მაღაზიაში, სიძვირის გარდა, მუშტარსაც შეუფერებელის სიტყვებით ეპყრობიან. ამისი საბუთები მრავალია და თუ საჭიროებამ მოითხოვა, კიდევაც გავუზიარებ მკითხველებს. ამ ჟამად-კი მხოლოდ ერთს მათგანს დავასახელებ, რომ რაც ვსთქვი, ეს ცილის წამებათ არ ჩამოართვან. ამ დღეებში ერთმა მოსწავლემ

თი ძალა აღმოიჩინონ. ისეთი ფრიად რთული და ყოვლად ძნელი საქმე, როგორც ადამიანის აღზრდა და სწავლებაა, ხელიდგან გამოუვა მხოლოდ მათ, ვისაც ასულდგმულებს გულ-წრფელი სიყვარული მოყვასთა მიმართ. რადგან ეს აღნიშნული თვისებურობა ქართველის ბუნებისა მეტად საინტერესოა, ისტორიას მოვიყვან მოწმედ.

ისტორიის წინა დროისმ კვლევარნი აღიარებენ, რომ ქართველთა წინაპარმა ურარტებმა პირველმა აღამაღლეს კაცობრიობაში კაცთ მოყვარეობის დროშა. ვანის წარწერებში არსად არის მოხსენებული, რომ დატყვევებულ მტერთათვის ტყავი გაეძროთ, მტრების თავებით პირამიდები დაედგათ, უცხო ტომნი ცოცხლივ ჩაეკირწყლოთ ციხის ზღუდეში და მსგავსი რამე ულმობლობა ჩაედინათ, რითაც თავი მოსწონთ ასირიელებსა, ბაბილონელებსა და სხვა ხალხებს იმ გულქვაობის დროის წარწერებში, რომელნიც დარჩენილან ძეგლებზე. თავიანთ წარწერებში ურარტელნი მხოლოდ აღიარებენ თავიანთ გამარჯვებას და მადლსა სწირვენ ღმერთებსა შემწეობისა და დახმარებისათვის. წერილში „ასურეთი და ურარტი“, რომელიც დაბეჭდილია წიგნში: „Братская помощь Армянамъ“-ში და ეკუთვნის ცნობილის ორიენტალისტის კალამს, ნათქვამია: „ულმობლობა განსაკუთრებული თვისება იყო ასურეთისა და ბაბილონის სამეფოებისაო, რომელიც ღვთის რისხვის იარაღად გადიქცაო“. პირ-იქით, „ურარტი ღვთის რისხვის კიარა, სიყვარულისა და მოწყალების იარაღი იყო“. „ხეთნი და ურარტნი მონათესავე ხალხები იყვნენ და მათი მოსპობა, ეგების, დიდი უბედურება იყო კაცობრიობისათვისაო“ (Братская помощь Армянамъ გვ. 55—56 გამოც. მესამე).

ეს სასიქადულო კაცთ მოყვარეობა ქართველებს განასხვავებს თავიანთ ისტორიულის არსებობის ყოველ ხანაში. საქართველოს სამეფოს შემავალ ყოველ ხალხს ქართველებთან თანასწორი სიმართლე ჰქონდათ მინიჭებული და არასოდეს არ განუცდიათ შევიწროება არც სარწმუნოებისა, არც ენის საქმეში. მათ მხოლოდ მოეთხოვებოდათ სახელმწიფოს ერთგულება. საქართველოში ძველიდგანვე სცხოვრობდნენ ურიები, მაგრამ საშუალ საუკუნებშიაც კი არ დასდგომიათ გაჭირვება ქართველთაგან და ურიების დარბევა, რაც ასე ხშირი იყო და ეხლაც არის ევროპაში, არასოდეს არ მომხდარა საქართველოში. ებრაელებს საქართველოს მეფენი სამძიმო დიპლომატიურ საქმესაც-კი მიანდობდნენ ხოლმე. თათრები ისე იყვნენ კმაყოფილნი თავიანთ ბედისა საქართველოს სამეფოში, რომ თავგანწირულად ებრძოდნენ შემოსეულ თათრებსვე. სომხები ყოველთვის შეადგენდნენ საქართველოს სამეფოს ბლომას ნაწილს და არა თუ ქართველთაგან მტრობა არ განუცდიათ, არამედ ყოველთვის მინიჭებული ჰქონდათ სრული თანასწორობა ქართველებთანა და, ასე გასინჯეთ, მემკვიდრეობითაც კი ეჭირათ ქართველთა სახელმწიფოში დიდ-დიდი თანამდებობა. შესანიშნავია, რომ რამდენიც უფრო ძლიერი იყო საქართველო, იმდენი უმეტესის სულგრძელობით და კაცთ-მოყვარეობით ეპყრობოდა თავის ქვეშევრდომ უცხო ხალხებსა. სომხის მეისტორიენი მოწიწებითა და მადლობით იხსენებენ ქრისტეს აქეთ მეთერთმეტე საუკუნის ქართველთა ძლიერ მეფეს დავით აღმაშენებელს, რომლის დროსაც საქართველო შეიქმნა ყოვლად ძლიერი სამეფო და ეჭირა მთელი აქეთი კავკასეთი, შავის ზღვით კასპის ზღვამდე მოკიდებული. მისმა შვილის-შვილის-შვილმა, სახელოვანმა თამარ მეფემ, რომლის დროსაც საქართველოს სამეფომ მიაღწია თავისის ძლიერების ზენითსა, გააუქმა თავისს სამეფოში მეთორმეტე საუკუნეში არა თუ სიკვდილით დასჯა, არამედ სხეულის სასტიკი სასჯელიცა, შთამომავლობისა და სარწმუნოების განურჩევლად ყოველის ქვეშევრდომისთვის ერთნაირად, როგორც ამას ჰმოწმობს ცნობილი ორიენტალისტიც ბროსსე თავისს საქართველოს ისტორიაში. ამის გამო მისმა მეფობამ ისე განვლო, რომ არ ყოფილა სიკვდილით დასჯილი და დასახიჩრებული არც ერთი თათარი, არც ერთი ურია მით, უმეტეს ქრისტიანი. ეს კაცმოყვარული სამართლიანობა სხვა სჯულის ხალხების შესახებ მით უფრო შესანიშნავია, რომ ქართველები ყოველთვის აღგზნებული იყვნენ ძლიერის სარწმუნოებრივის გრძნობით.

რაოდენი ძალა უნდა ჰქონოდათ ქართველებს მოწყალებისა და კაცთ-მოყვარეობისა, თუ იმათს მხურვალე სარწმუნოების ერთგულებასაც კი ქედი უნდა მოეხარა ამ კაცთ-მოყვარეობის ძალის წინაშე.

რუსეთის მეფის უერთგულეს ქართველებს ამ ჟამად არაფერი სწადიათ მის მეტი, რომ მათ მიუწყონ იმავე საწყაოთი, როგორითაც მიუწყავდნენ ყოველთვის სხვებსა, ურარტის ხნიდგან მოკიდებული თავისებურის და სიმპატიურის ეროვნების დასაცველად და გასავითარებლად თავიანთ სასიკეთოდ და სასიკეთოდაც და სასახელოდ რუსეთის სახელმწიფოსი, რომლის დიდებისა და აყვავებისათვის ისინი ნამდვილ რუსებზედ არა ნაკლებად არიან თავ-დადებულნი.

პეტრე მირიანაშვილი

მათთან რვეული იყიდა. მოსწავლეს კარგი ჰგონებია, რადგანაც უთქვამთ: „ეს არის ახალი მოდის რვეულიო“-ო. ხოლო ამ რვეულის ხმარების დრო დიდი ხანია, რაც წასულია. მასწავლებელს მოსწავლისათვის „რვეული“ დაუწუნებინა და უთქვამს: „ეს ძველია, ვისგანაც იყიდე, იმასვე გამოაცვლევინე“-ო. მოსწავლემ ისევ მიუტანა მათ თავიანთი ადამის დროინდელი რვეული გამოსაცვლელად, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მკითხველო! მოსწავლე კარში გამოაბრძანეს, არც „რვეული“ გაუცვალეს, ისაც წაართვეს და არც ფული მისცეს. ეს ფული და „რვეულიც“ დღესაც მათ ხელშია.

ახლა ვიკითხოთ: შეჩვენის განა ასეთი მოქმედება იმ ადამიანს, რომლის ზნეობრივი მოვალეობაცაა სწავლა-განათლებას ხელი შეუწყოს?.. ასეთი მაგალითები ათასია, მაგრამ მიაქცევენ თუ არა იგინი ამას ყურადღებას, ეს ალლაჰმა უწყის?! აღარც შეგვიძლიან დავმალოთ, თუ სასტამბო საქმეებს როგორ ასრულებენ. უწინ რომ 100 ცალის „ტირილ ქორწილი“-ს პატარა ქაღალდებს მანეთად ბეჭდავდნენ, ახლა ამავე ბარათებს სამ მანეთადა და ხან ოთხადაც ჰბეჭდავენ, ამგვარს ბარათებს ფოთში ბ-ნი ტუღუში თავისს სტამბაში თითქმის მანეთზედ ნაკლებად ჰბეჭდავს. ამაზედ მეტი აბუჩად აგდება გაგონილა? კარგი იქნება, ძმ. თა—ძეებმა ჩვენს სამართლიანს ჩივილს ყურადღება მიაქციონ, ჰყიდონ ყოველივე და ბეჭდონ ისე, როგორც უწინ შვრებოდნენ, თორემ უზომო მოგების მადა მხოლოდ მათვე აზარალებს და სახელსაც, ეჭვი არ არის, გაუტეხს!..

ტრიფონ კალანდარიშვილი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამას წინად სტოკჰოლმში გახსნეს ანდრეს ანდერძის ქაღალდი. როდესაც ანდრე თავისის ჰაეროსტატით აპირებდა სამოგზაუროდ წასვლას ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ, თითქოს ჰგრძნობდა, რომ უკან აღარ დავბრუნდებიო, ანდერძი დასწერა და დაავალა მახლობელთ, მხოლოდ 1900 წლის გასულს გახსენითო. გაუხსნიათ ანდერძის ქაღალდი 5 იანვარს (ახალის სტილით) ნოტარიუსის კანცელარიაში. დასწრებიან ძმისა და დის გარდა, დაკარგულ მოგზაურის მრავალი მეგობარი და ნაცნობი. ნოტარიუსს რამდენიმე სიტყვით მოუხსენებია ანდრე და შემდეგ დაბეჭდილი კონვერტი გაუხსნია. კონვერტში რამდენიმე სხვა წერილი უნახავთ, აგრეთვე დაბეჭდილი; ზოგს ეწერა „ნუ წაიკითხავთო“, ზოგს კიდევ—„დაწვითო“. შემდეგ უნახავთ კონვერტში რამდენიმე წერილი, სხვა და სხვა მეცნიერისაგან მიღებული. თითქმის ყველანი იწონებდნენ ანდრეს აზრს და ურჩევდნენ შესდგომოდა მოგზაურობას. მხოლოდ ფრანგი მეცნიერი დეფუვიელი ყოფილა წინააღმდეგი. იგი სწერდა თურმე, ეგ მოგზაურობა უნაყოფოთ ჩაივლის, ამას გარდა სახიფათო ბევრი მოგელითო. ამ წერილისთვის ანდრეს მიუწერია კარანდაშით: „შეიძლება, რომ დეფუვიელი მართალი იყოს, მაგრამ გვიანღაა: ყველაფერი მზად არის და ეხლა უკან დახევა შეუძლებელია. თვით ანდერძი მოკლედაა დაწერილი. იწყობა იგი ამ სიტყვებით: „ანდერძი, რომელსაც ეხლა ვწერ უთუოდ უკანასკნელი ქაღალდია, რომლის წერაც მიხდება. ვწერ სალამოთი, მეორე დღეს, ე. ი. ხვალ, შევუდგები მოგზავრობას და პირის-პირ შევხვდები იმ განსაცდელს, რომელიც აუცილებლად მომელის. წინათ გრძნობა მეუბნება, რომ ამ საშიშ მოგზაურობისაგან სიკვდილი მოგელისო“. შემდეგ ანდრე თავისს შეძლება-ქონებას დასა და ძმას უნაწილებს. მდიდარი წიგნთ საცავი ანდრემ თავისს ძმას დაუტოვა იმ პირობით-კი, რომ შემდეგ ეს წიგნთ-საცავი სახალხოდ გადააკეთოს. ამით თავდება ანდერძი. როგორც ვუწყით, ანდრე 1897 წლის 11 ივლისს შეუდგა მგზავრობას. უკანასკნელი ამბავი ანდრესაგან რამდენისამე კვირის შემდეგ მოვიდა, წერილი მტრედმა მოიტანა. მოგზაური მხოლოდ ორ სიტყვას იწერებოდა: „ყველაფერი კარგადააო“! მას შემდეგ რამდენიმა „ბუი“ იპოვნეს, უკანასკნელი 1900 წელს, რომლიდგანაც, როგორც ამბობენ, აშკარადა სჩანს, რომ ანდრე დაიღუპა.

* * *

ბერლინში ყოველთვის დიდის ამბით ეგებებიან თურმე ახალწლის დადგომას. ეხლაც ასევე მომხდარა. 31 დეკემბერს, ღამის 11 საათისთვის დიდძალი ხალხი შეკრებილა ბერლინის უმთავრეს ქუჩაზედ, ეგრედ წოდებულს „სამს ცაცხვთან“. ამ დროსთვის დაუკეტნიათ ყავახანები, ლუდხანები და მაღაზიები. იქითკენვე გაეშურნენ ცხენოსანნი და ქვეითნი პოლიციელნი. ისეთი საოცარი მოძრაობა იყო თურმე, რომ უცხო ქვეყნელს აჯანყება ან სხვა რამ უწესოება ეგონებოდა. ბერლინელნი იკრიბებოდნენ ძველის წელიწადის ,,დასამარხავად“ და ახალის მისაგებებლად. $11^{1}/_{2}$ საათზედ უკვე იმოდენა ხალხი შეკრებილა, რომ მოძრაობა შეუძლებელი იყო თურმე. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდნილა. ყველა მოუთმენლად მოელოდა შუაღამეს და წამდა-უწუმ საათს დაჰყურებდა, როდის შესრულდება 12 საათიო. ბოლოს, დაჰკრა თორმეტი საათი, და ატყდა ერთი ხმაურობა, აურ-ზაური, ყრიამული. ყოველის მხრიდგან გაისმა: „მომილოცნია ახალი წელიწადიო“. უცნობნი და ნაცნობნი ერმანეთს ხელს ართმევდნენ და ჰკოცნიდნენ, განსაკუთრებით ქალები, რომელნიც სცდილობდნენ მარჯვე დროთი ესარგებლნათ. ამ საერთო სიხარულში პოლიციაც-კი ჩაერია, სადაც-კი განათებული ფანჯარა დაინახა, ბრბო გაჩერდა იქ და მიულოცა სახლის პატრონს ახალი წელიწადი. ბევრი უცნობ სახლშიაც შედიოდა და ულოცავდა. ორ საათზედ რესტორანები და ლუდხანები ხელ-ახლა გაუღიათ და ხალხი შესდგომია დროს გატარებას.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 იანვარი.

პეტერბურგი. 1 იანვარს გატჩინოს სასახლეში გარდახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრნენ დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, საიმპერატორო გვარეულობის წევრნი, დიდი ჰერცოგი და დიდი ჰერცოგინია ჰესენისა, ამალის წევრნი და იმ რაზმების უფროსნი, რომელთა შეფადაც მისი უდიდებულესობაა.

ლონდონი. კიტჩინერი დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან, რომ რამდენიმე ბრძოლა მოხდა, რომელიც ბურთა დამარცხებით დამთავრდაო. ორსავე მხარეს მცირე ზარალი მოუვიდათ. სენეკალთან ბრძოლაში დაიღუპნენ რაზმის უფროსი დიუპრე და რვა ბური.

კაპშტადტი. 120 ბურისაგან შემდგარი რაზმი შევიდა ტუნბანგლაფში რომელიც კაპშტადტიდგან 100 მილის მანძილზედ მდებარეობს. ბურები ბიუფორტვესტის ოლქშიაც გაჩნდნენ.

პეკინი. ცინმა სახელმწიფოთა საერთო ნოტას ხელი მოაწერა შაბათს, ხოლო ლიხუნგჩანგმა დღეს.

სტოკჰოლმი. მეფე ოსკარი 8 იანვარს ხელ-ახლა შეუდგა სახელმწიფოს მართვა გამგებლობას.

პრეტორია. 800 ბური ბეიერის უფროსობით 30 დეკემბერს დილით დაეცნენ კაალფონტენს. რკინის გზის მესამე სადგურს პრეტორიის სამხრეთით, და გადასჭრეს ტელეგრაფის მავთული. კაალფონტენის მეციხოვნე რაზმი 120 კაცისა და ერთის პორუჩიკისაგან შესდგებოდა. ბურები შემოერტყნენ სადგურს, და თოფების სროლა დაუწყეს. ერთმა ინგლისელმა ჯარის-კაცმა გაიკვლია გზა ბურთა რაზმებს შორის, მიაღწია ოლიფონტენის სადგურამდე და პრეტორიიდგან დეპეშით სამხედრო მატარებელი მოითხოვა საშველად. მატარებელი დაუყოვნებლივ იქმნა გაგზავნილი, ხოლო მანამდე მეციხოვნეთ უზარალოდ შესძლეს ბურების განდევნა ბურებმა ბრძოლის ველზედ დასტოვეს სამი დაჭრილი კაცი, მაგრამ წასვლამდე ააფეთქეს კაალფონტენის სამხრეთით რკინის გზის ლიანდაგი.

ლონდონი. რობერტსმა კერძოდ სთხოვა ლონდონის ლორდ-მერსა და სხვა მერებს, გადასდონ ის დღე, როდესაც რობერტს უნდა გადასცენ საპატიო მოქალაქობრივობის უფლება. რობერტსმა სთქვა, რომ ეხლა, როდესაც სამხრეთ-აფრიკაში საქმის ვითარება ეგრე სამწუხარო მდგომარეობაშია, საჭიროდ მიმაჩნია რამდენსამე ხნით გადაიდოს დღესასწაულიო.

ბერლინი. ვალდერზეე იუწყება პეკინიდგან, რომ პაველის რაზმი დაბრუნდება ხვალ. რაზმი კირმინგში იყო გაგზავნილი; იგი დარწმუნდა, რომ სუანხუადგან დაბრუნებულმა ჩინეთის ჯარმა უკან დაიწია.

პეკინი. პრინცი ჩუნი სადარბაზოთ იყო გერმანიის ელჩთან. როგორც ამბობენ, იმათ ლაპარაკს კარგი შედეგი მოჰყვა. ჩუნის დანიშვნა იმპერატორის ელჩად გერმანიაში გასაგზავნად მოწონებულ იქმნა. პრინცი სუ უთუოდ თან ეახლება ჩუნს ევროპაში.

პეკინი. როგორც ისმის, ლიუხნგჩანგი შარდის ავადმყოფობით არის ავად. გუშინ უკეთ გახდა, დღესაც კარგად არის.—ცინმა შეატყობინა იმპერატორს, რომ წინააღმდეგი ვარ ჯანჯუნის დანიშვნისა რწმუნებულად ლიხუნგჩანგის ადგილას და მსურს დანიშნულ იქმნას შენი, რომელიც უცხოელებსაც ჰსურთო. მაგრამ ელჩები, იმისდა მიუხედავად, რომ ჯანჯუნი კარგის თვალით არ უყურებს უცხო-ქვეყნელთ, წინააღმდეგნი არ იქმნებიან იმის დანიშვნისა. ელჩების უმრავლესობას ეცნობა თავიანთ მთავრობათაგან, რომ მოლაპარაკება პეკინში უნდა მოხდეს, რადგანაც რომელიმე სხვა ადგილი ბევრ მიზეზებისა გამო მიღებული არ იქმნებაო.

ბერლინი. დიპლომატიურსა და პოლიტიკურს წრეებში რუსეთის სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა თავისის სამშვიდობო ხასიათით. „Berliner Neuesten Nachrichten“-ი სწერს, გერმანიაში ეჭვი არა აქვთ, რომ რუსეთის ხელმწიფე მშვიდობის მოყვარეობით არის გატაცებულიო. როგორც მისის უდიდებულესობის მართვა-გამგეობის დრო, აგრეთვე მისი აზრ-შეხედულობა საუკეთესო მოწმეა იმისა, რომ რუსეთი დაიცავს მთელს ქვეყანას ომის უბედურებათაგანაო. იგივე გაზეთი გერმანიასა და ოსმალეთს შორის დადებულ კავშირის შესახებ „ნოვოსტ“-ში დაბეჭდილ წერილის გამო ამბობს: „ნოვოსტი“ სწორედ შენიშნავს, რომ შეუძლებელია, ბიულოვმა ისეთი რამ გააკეთოს, რამაც რუსეთისა და გერმანიის შორის კეთილი განწყობილება დაარღვიოსო. ბიულოვი ამ შემთხვევაში ბისმარკის კვალს მისდევს, რომლის აზრითაც აღმოსავლეთის საქმეებში გერმანია თავდაჭერილად უნდა იქცეოდეს. იმპერიის კანცლერისაგან ყველაზედ ნაკლებად უნდა მოველოდეთ ისეთ საქმეს, რომელსაც ცუდი გავლენა ექმნება რუსეთ-გერმანიის განწყობილებაზედაო.

პარიჟი. პალატა. სელიბა შეეკითხა: ხომ არ განაცხადა მთავრობამ უკმაყოფილება ამას წინად გამოქვეყნებულ პარიჟის მთავარ ეპისკოპოსთან მიწერილ რომის პაპის წერილის გამო, რომელიც კონგრეგაციათა კანონ-პროექტს ეხებაო. ამ საგნის გამო კამათის შემდეგ, ვალდეკ-რუსსომ სთქვა, რომ თუმცა მთავრობის აზრით პაპის უფლება არა აქვს სულიერი ხელმძღვანელობა გაუწიოს კათოლიკებს, მაგრამ მთავრობას აქვს უფლებანი, კონკორდატის მიერ მინიჭებულიო.

პეტერბურგი. პირველ სესხის ტირაჟი. მოგება ჰხვდათ შემდეგ ბილეთებს: ორასი ათასი—$4378/_{49}$, სამოცდა თხუთმეტი ათასი—$60/_{14}$, ორმოცი ათასი—$11757/_{32}$, ოცდა ხუთი ათასი—$5599/_{33}$, ათი ათასი—$13579/_{13}$, $19551/_{12}$, $9626/_{3}$, რვა ათასი—$7395/_{4}$, $5228/_{35}$, $7793/_{21}$, $17638/_{1}$, $17345/_{34}$, ხუთი ათასი $15444/_{45}$, $19316/_{1}$, $13629/_{43}$, $15884/_{40}$, $18514/_{32}$, $2057/_{22}$, $6905/_{9}$, $788/_{21}$, ათასი მანეთი—$14485/_{34}$, $17096/_{11}$, $6607/_{28}$, $17534/_{19}$, $13996/_{43}$, $12297/_{34}$, $16860/_{17}$, $10207/_{30}$, $3609/_{18}$, $14951/_{36}$, $16932/_{16}$, $13248/_{49}$, $19940/_{29}$, $9771/_{45}$, $18103/_{3}$, $8831/_{38}$, $13438/_{16}$, $4396/_{49}$, $6265/_{17}$, $4946/_{41}$.

ვენა. „Neue freie Presse“ მოხსენებას რუსეთის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ დიდმნიშვნელოვან საბუთად უწოდებს უმთავრესად იმ სიტყვების გამო, რომლებშიაც რუსეთის იმპერატორის მშვიდობისმოყვარეობაზეა ლაპარაკი. 220 ათას კაცისაგან შემდგარ ჯარის საომრად გაწყობა უზაროთა და უზეიმოთ მართლაც რომ დიდი საქმეა; იგი უფლებას არ აძლევს ამაყად სთქვას, რომ რუსეთს არაფრის შიში არა აქვს. თუმცა სარწმუნოდ არ შეიძლება ითქვას, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ აფრიკის ომის შესახებ უტყუარად ამტკიცებს, რომ რუსეთის იმპერატორის მხრივ მშვიდობიანობის დარღვევის შიში არ არის და რომ საფრანგეთთან კავშირს ის მშვიდობიანობის თვალით უყურებსო.

პიკეტბერგი. აქ ინგლისელების ძლიერი რაზმი მოვიდა. უკანასკნელი ცნობებით, კალვინიაში მოსული ბურები წინ აღარ მიიწევენ.

კიმბერლეი. ფრეიბურგიდგან 170-ამდე საეჭვო კაცი მოიყვანეს; ახლო მომავალში 800-ს კაცს კიდევ მოიყვანენ.

კაპშტადტი. ნება-დართულ იქმნა, რომ იმ რაზმის გარდა, რომელიც აწ უკვე არსებობს იოჰანესბურგის მადნების დასაცველად, კიდევ შემდგარ იქმნას 250 კაცისაგან ახალის რაზმი ორანჟეს რესპუბლიკის ალმასი მადნების სადარაჯოდ. რადგანაც ველოსიპედისტების რაზმებმა ომში დიდი უნარი გამოიჩინეს, ამიტომ გაწვრთნილს ჯარს შეუერთეს ველოსიპედისტთა რაზმებიც.

განცხადებანი

„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი საყმაწვილო წიგნები:

	კაპ.
საყმაწვილო მოთხრობანი, ეკ. გაბაშვილისა . . .	30
ივანამ რა ჰქმნა, ცხრა სურათით, ი. გოგებაშვილისა	5
თავდადებულნი ქართველნი, სურათებით, მისივე . .	10
მოსავლის მცველნი, სურათებით	20
ერეკლე მეფე და ინგილო ქალი	5
საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა . . .	10

20 იანვრიდგან ტფილისში გაიხსნება ახალი საკომერციო სასწავლებელი

საბუჰგალტერო კლასები

მოზრდილ ქალებისა და ვაჟებისათვის.

სავალდებულო საგნებია:

1) ბუჰგალტერია.
2) ანგარიში ჩოთქზედ.
3) საკომერციო კორრესპონდენცია.
4) საკომერციო არითმეტიკა.
5) საბანკო საქმე.
6) კალიგრაფია (ლამაზად წერა).
7) ტეხნოლოგია.
8) სავაჭრო საქონლის ცოდნა.
9) სავაჭრო კანონები.
10) კომერცია.

არა სავალდებულო საგნები:

უცხო ენები და სტენოგრაფია. საბუჰგალტერო კლასებში მიიღებენ სამოქალაქო სასწავლებლებსა და საშუალო სასწავლებელთა 3 კლასში სწავლა-დამთავრებულ ქალებს და ვაჟებს არა უმცროს 15 წლისას, ანუ ვინც დაწესებულს გამოცდაზედ გაიმარჯვებს. სწავლა რამდენსამე სემესტრად იქნება დაყოფილი. მთელის კურსის სწავლის ფასი 60 მანეთია. თხოვნები მიიღება კლასების კანცელარიაში, მიხეილის ქუჩა, № 56, ანუ კურსების დამაარსებელთან, მიხეილის ქუჩა, № 71.

(15—6.—1) კურსების დამაარსებელი **ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 го Января 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე